პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ოთხშაბათი 20 აპრილი № 92 (16829) ფასი 2 კაპ. 1977

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებთან, ბჭათა ხუთწლედის დიდებული პროგრამის ფან ხორციელებისათვის!

წინ კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით რესპუბლიკის ყველა პედაგოგს, სახალხო განათლების ყველა მუშაკს, იმათ, ვინც თავდადებულად და ერთგულად ემსახურება მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობა მეტად ღირსშესანიშნავ პერიოდში შეიკრიბა, როცა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული საბჭოთა ხალხი აქტიურად ახორციელებს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დიად პროგრამას, ფართოდ აჩაღებს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის, შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ხუთწლედის — გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

ამ გრანდიოზული საერთო-სახალხო ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, კომუნიზმის მშენებელთა ღირსეული ცვლის მომზადების საქმეში დიდია სკოლისა და მასწავლებლობის როლი.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, ძირითადად დამთავრებულია საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა.

ეს უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მონაპოვარი ნათელი დადასტურებაა ლენინური ზრუნვისა, რომელსაც მშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იჩენენ ხალხის კულტურული და ზოგადი განათლების დონის ამაღლებისადმი, საბჭოთა მასწავლებლის საზოგადოებრივ მდგომარეობისა და ავტორიტეტის ზრდისადმი.

პედაგოგის პროფესიას მხოლოდ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ხვდა წილად ასეთი ღრმა პატივისცემა, დიდი სოციალური პრესტიჟი და საყოველთაო სახალხო სიყვარული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდად აფასებენ რესპუბლიკის მასწავლებელთა მოქალაქეობრივ ღვაწლსა და უდიდეს დამსახურებას, იმ გულითად სითბოსა და სიყვარულს, რასაც ისინი აქსოვენ მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით დასახული ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და საზოგადებრივ-პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში მათს აქტიურ მონაწილეობას.

ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის ამოცანაა, მთელი თავისი მუშაობა კვლავაც განუხრელად დაუკავშიროს ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით დაუქვემდებაროს მოსწავლე ახალგაზრდობის, საბჭოთა ხალხის გმირულ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე აღზრდას, ჩაუნერგოს თვითეულ მოზარდს ცოდნის, მსოფლმხედველობის, დისციპლინისა და ზნეობის მყარი საფუძველი; ასწავლოს სამშობლოს, შრომის სიყვარული და თავდადება, შესძინოს საკუთარი ცოდნის გაღრმავების, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის უდიდეს და უსწრაფეს ნაკადში დამოუკიდებელი ორიენტაციის უნარი.

ჩვენი დროის მოვლენათა შესაბამისად მასწავლებელთა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გონებრივი, იდეიური, პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის მკვეთრად გაუმჯობესებას, მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შეგნებულად, მტკიცედ დაუფლებას, სწავლების აღმზრდელობითი შინაარსის გაღრმავებას, მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნებისა და უნარის განვითარებას, სწავლების მეთოდებში პრობლემატურობის ელემენტების შეტანას, სწავლების პროცესის, მისი ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას.

მთელ სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში უფრო მეტად უნდა გამოიკვეთოს მოქალაქეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალისტური შეგნების განმტკიცებისათვის ზრუნვა, ანტისაზოგადოებრივი მოვლენებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება, ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრებისათვის აქტიური ბრძოლა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მუშაობაში წარმატებებს უსურვებენ რესპუბლიკის მასწავლებელთა მეოთხე ყრილობას და ღრმა რწმენას გამოთქვამენ, რომ საბჭოთა საქართველოს მასწავლებლები კვლავაც ღირსეულად მოიხდიან ვალს პარტიის, ხალხის, სამშობლოს წინაშე; ძალას, ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას არ დაიშურებენ კომუნიზმის საქმისადმი ერთგული მომავალი თაობის აღზრდისათვის! თავიანთი უანგარო და თავდადებული შრომით ხელს შეუწყობენ პარტიის XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებას და ახალი გამარჯვებით აღნიშნავენ რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური მშენებლობის დიად დღესასწაულ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

მასწავლებელთა ყრილობაზე

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ახალი პასუხსაგები ამოცანები დაუსახა საბჭოთა სკოლას სკკპ XXV ყრილობამ, რომელმაც შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში აღმშენებლობის დიდებული პროგრამა. მათი წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს სახალხო განათლების მთელი სისტემის და, უწინარეს ყოვლისა, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომ სრულყოფას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნა, რომ თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება, ახლა უკვე გარკვეული მოცულობის ფაქტების ათვისებას ვეღარ დავჯერდებით.

საქართველოს მასწავლებლებმა თავიანთი საქმიანობის საბრძოლო პროგრამად აღიქვეს ამოცანები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახეს.

19 აპრილს თბილისში გახსნილი ყრილობის დღის წესრიგშია საკითხი „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები სწავლების ხარისხის, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისა და შრომითი საქმიანობისათვის მათი მომზადების გასაუმჯობესებლად სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1976 წ.) დადგენილების შესაბამისად“.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, ე. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შეკარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ლ. ი. ვოლინკინა, სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილე ქ. გ. ნოტკო, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ნ. სტოლეტოვი, „უჩიტელსკაია გაზეთას“ მთავარი რედაქტორი ნ. მ. პარფენოვი, გამომცემლობა „პროსვეშჩენიეს“ დირექტორი დ. დ. ზუევი, ჟურნალ „ვოსპიტანიე შკოლნიკოვ“-ის მთავარი რედაქტორი ლ. ვ. კუზნეცოვა, ჟურნალ „სემია ი შკოლას“ მთავარი რედაქტორი ნ. ი. მონახოვი, მოსკოვის, ლენინგრადის, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელები, ბაიკალამურის მაგისტრალის მშენებელთა წარმომადგენლები, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რესპუბლიკის მასწავლებელთა მრავალთასიანი რაზმის საუკეთესო წარმომადგენლები, მინისტრები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყრილობა გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. დ. ქინქლაძემ.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს, საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი.

საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის დელეგატებიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

შემდეგ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. დ. ქინქლაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. რ. სამნიაშვილი, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი თ. ი. კოლონია, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ი. შეწირული, აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. ბ. წულუკიძე, ლაგოდეხის № 2 ბაგაბაღის აღმზრდელი მ. გ. სესიტაშვილი, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ვამგე გ. ი. ძაგოევი, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ფარცხნალის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ი. შ. ბუაჩიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ნ. ფაჩუაშვილი, მარნეულის № 1 აზერბაიჯანული საშუალო სკოლის პედაგოგი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი რ. ხ. ხუდაევა, თბილისის ა. ხ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. შ. ვასაძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ქ. ღაღაიშვილი, ქალაქ რუსთავის ბავშვთა სახლის დირექტორი ე. ა. კოსოვა, № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი ლ. თ. ჩიქვანაია, თიანეთის რაიონის სოფელ ფელელების საშუალო სკოლის პედაგოგი პ. ნ. არაბული.

ყრილობაზე გამოვიდა სსრ კავშირის განათლების მინისტრის მოადგილე ქ. გ. ნოტკო.

სამანდატო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის 147-ე საშუალო სკოლის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გ. ჩაფიძემ.

ყრილობის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის მოადგილე ლ. კ. ბალიასნაია, უკრაინის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ვ. ფომენკო, ბელორუსის სსრ განათლების მინისტრი მ. გ. მინკევიჩი, უზბეკეთის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ვ. ვ. ბარილნიკოვი, უაზარეთის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. მ. ახმეტოვი, აზერბაიჯანის სსრ განათლების მინისტრი მ. მ. მეხთი-ზადე, ლატვის სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ვ. ა. კიშკისი.

საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).



საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობის დარბაზში.
ბ. ბოგოროსიას ფოტო.

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 18 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში საღამო გაუმართეს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰაფეზ ასადს.

სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად საღამოზე იყვნენ სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, რომელსაც იგი მეთაურობს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საღამოზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. თ. ილიაშენკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

საღამოზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ჰაფეზ ასად!

პატივცემულო სირიელო მეგობრებო!

ამხანაგებო!

მოხარული ვართ კვლავ მივესალმოთ მოსკოვში ჩვენს მეგობარს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰაფეზ ასადს და მასთან ერთად ჩამოსულ მეგობარი სირიის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

ეს-ეს არის სირიის ხალხმა აღნიშნა თავისი ეროვნული დღესასწაული — უცხოეთის ჯარების ევაკუაციის დღე. ეს თარიღი საბჭოთა ადამიანებისთვისაც ძვირფასია.

ჩვენი ქვეყანა ხომ ერთ-ერთი პირველთაგანი მტკიცედ გამოვიდა სირიის ახალგაზრდა რესპუბლიკის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დამოუკიდებელი განვითარების დასაცავად. ჩვენ მტკიცედ ვადექით ამ პოზიციებს ომის განსაცდელის წლებში, რაც წილად ხვდა სირიელ ხალხს იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ახლაც ამ პოზიციებზე ვდგეავართ.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნები და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალები ერთმანეთის ბუნებრივი მოკავშირეები არიან.

და ეს კავშირი იმისათვის არსებობს, რომ ქვეყნად ყველგან მოისპოს ექსპლოატაცია და იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯა, რომ ხალხები განაგებდნენ თავიანთ ბედს და ახალ ცხოვრებას აშენებდნენ გარეგან ჩაურევლად, მოკლედ რომ ეთქვათ, იმისათვის არსებობს, რომ ადამიანებმა უკეთ და უფრო სამართლიანად იცხოვრონ და დარწმუნებული იყვნენ თავიანთ მშვიდობიან მომავალში.

როცა ფართო პლანით ეაფასებთ პოლიტიკურ განვითარებას და განესაზღვრავთ მის მთავარ მიმართულებებს, არ შეიძლება არ ვხედავდეთ იმ კოლოსალურ გარდაქმნებს, ჩვენი პლანეტის სხვადასხვა რაიონში რომ მიმდინარეობს, ცვლილებებს, რომლებიც ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრესის სასარგებლოდ ხდება.

ახლო აღმოსავლეთი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ არის. აქ მოვლენები მძაფრად ვითარდებოდა და ხშირად დრამატულ ხასიათს იძენდა. ცალკეული არაბული სახელმწიფოების პოლიტიკაში ზოგჯერ ზიგზაგებიც გვხვდება. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: თუ წინათ ახლო აღმოსავლეთში უკონტროლოდ პარპაშობდნენ კოლონიზატორები, ახლა არაბული ქვეყნები პოლიტიკურად დამოუკიდებელნი არიან. მათ ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იარონ სოციალური პროგრესის გზით, და ეს ცვლილებები ისტორიულად შეუქცევადია.

რატომ არის, რომ ამ ბოლო დროს საქმემ თითქოს ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის მოწესრიგებისა და ქენევის კონფერენციის მოწვევის მიმართულებით წაიწია? რატომ ალაპარაკდნენ ამის შესახებ იმ სახელმწიფოთა დედაქალაქებშიც კი, სადაც-და ეს არავისთვის არ

(დასასრული მე-2 გვ.)

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება

18 აპრილს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარიოვი.

სირიის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე აბდალა ალ-აჰმარი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონული ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიკის საკითხებში ჯამილ შაია, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონული ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე მაჰმუდ ჰადიდი.

მეგობრობის ვითარებაში განხილეს საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი. მხარეებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირსა და სირიის არაბთა რესპუბლიკის თანამშრომლობა შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ინტერესებს, ემსახურება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეს, ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის არან ხალხთა სამართლიანი ბრძოლის გამარჯვებას.

საერთაშორისო ვითარებაზე შესახებ აზრთა გაზიარების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, დაძაბულობის საშიში კერის აღკვეთისა და ყოვლისმომცველი და სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისათვის ბრძოლას.

19 აპრილს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი;

სირიის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე აბდალა ალ-აჰმარი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ ჯალილ ჰადამი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ეკონომიკის საკითხებში ჯამილ შაია, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის საყოველთაო პროფკავშირული ფედერაციის თავმჯდომარე მაჰმუდ ჰადიდი.

დამთავრდა აზრთა გაზიარება მთელ რიგ სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობის ახლანდელ მდგომარეობასა და შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, აგრეთვე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

მხარეებმა განიხილეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყველაფერი იღონონ, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი და გაგრძელდეს სახელმწიფოთა თანამშრომლობა, იღვაწონ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ყოვლისმომცველი მოწესრიგებისათვის ტერიტორიების ომის გზით შეძენის შეუწყნარებლობის პრინციპის, ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობისა და უშიშროების უფლების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირმა და სირიის არაბთა რესპუბლიკამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა განთავისუფლდეს 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიები, უზრუნველყოფილ იქნას პალესტინის არაბი ხალხის განუყოფელი უფლება, ქერძოდ, მისი თვითგამორკვევისა და თვით პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

მოლაპარაკებამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

19 აპრილი ● „პრავდის“ ფურცლებზე

ზრდის ხარისხობრივი ფაქტორები

ზრდის ხარისხობრივი ფაქტორებისადმი ყურადღების გაძლიერება — წერს გაზეთი მეთაური წერილში, — კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა. ყველამ ღრმად უნდა შეიგნოს, რომ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ხუთწლედის მიჯნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის და მართვის მოწინავე მეთოდების დანერგვის, საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების აყირავთაანობისა და მომგირნეობის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის საფუძველზე, სწორედ ამ გზას ადგანან მოწინავე კოლექტივები.

„საბჭოთა ხალხის მთელი გმირული ისტორია, მისი საბრძოლო და შრომითი გმირობები, მისი დიდი მიღწევები განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის, როგორც ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, საქმიანობასთან“ — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“. პარტიის ისტორია კი მისი ორგანიზაციების ისტორიაა. კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე დღეს ისინი განაგრძობენ დიად საქმეს, რომლისთვისაც ოქტომბრის ლენინური გვარდია იბრძოდა.

ემზადება რა სახელოვანი იუბილესათვის, „პრავდა“ თავის ფურცლებზე წარმოგვიდგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზოგიერთი რაზმის ბიოგრაფიულ პორტრეტებს. რასაკვირველია, შეუძლებელია. გაზეთმა გაგვაცნოს პარტიის საფუძვლის შემადგენელი ყველა პირველადი ორგანიზაციის საქმიანობა: ახლა 390 ათასზე მეტი ასეთი ორგანიზაციაა. თანაც ამ ზოგიერთ ორგანიზაციათაგანაც თვითეულზე ყველაფერს ვერ იტყვი. მაგრამ დაე ამ ბიოგრაფიების არასრული სტრიქონები, ცალკეული ეპიზოდები, პორტრეტების შტრიხები, გაზეთისებურად სხარტი და მოკლე, დაგვეხმაროს განვიხილოთ, თუ როგორ ყალიბდებოდა სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა კოლექტივში პარტიის ძლიერი, ყოველისმძლე ხასიათი, რომელიც ამჟამად კომუნისტურ აღმშენებლობაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად მიუძღვის ხალხს.

გაზეთის ფურცლებზე გაჩნდა ახალი რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება: ორგანიზაციის პორტრეტის შტრიხები“. პირველი ნაამბობი შეეხება ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის“ პარტორგანიზაციას (მე-2 გვ.).

„პრავდის“ კორესპონდენტი გ. ლებანიძე იუწყება, რომ დღითიდღე იზრდება ექსკურსანტების ნაკადი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. აქ უკვე მოვიდა მეოთხემილიონე დამთვალიერებელი. ეს იყო „თბილისგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი მირიან კოკოლაშვილი.

ПРАВДА

19 აპრილი

ფაქტები, პროგლემები

მსოფლიოს ამბები

საკადრო და უცხოეთის პრესის საკვანძო ინფორმაციათა ბიულეტენი

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

არის საიდუმლო — სულ სხვა ხერხებსა და მეთოდებს ამჯობინებდნენ და იყენებდნენ პრაქტიკულად.

გადამწყვეტწილად იმიტომ, რომ ყოველსმომცველი მორწმუნეობისათვის იღვწიან ისეთი გავლენიანი ძალები — თვით ახლო აღმოსავლეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც, — რომლებსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მტკიცედ იბრძვის ახლო აღმოსავლეთის დაძაბულობის კერის ლოკვიდაციისთვის.

საბჭოთა კავშირის შესახებ გარკვეით შემიძლია ვთქვა: ჩვენი მისწრაფება, რომ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა დამყარდეს ახლო აღმოსავლეთში, უცვლელი და თანმიმდევროვანია.

ამას თვალსაჩინოდ, მკაფიოდ მოწმობს სკკპ XXV ყრილობის საგარეო-პოლიტიკური ანგარიშები. მის მიერ წამოყენებული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა.

ჩვენი ქვეყანა მტკიცედ იღვწის, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მშვიდობა და სიმშვიდე დამყარდეს, რომ აღმოიფხვრას ისრაელის აგრესიის შედეგები. ჩვენ რადიკალური მოწესრიგების მომხრენი ვართ. ჩვენი წინადადებები ამის თაობაზე შეწონასწორებული და, რაც მთავარია, პატიოსანი წინადადებებია.

სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ჩვენ მიერ ამას წინათ გამოქვეყნებულ მოსაზრებებს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის შესაძლო საფუძვლების შესახებ ერთოდ და პოზიციურად გამოეხმაურნენ. მთელ მსოფლიოში, კერძოდ, არაბი ხალხებიც.

ცხადია, რომ აგრესიაზე, სხვათა მიწების მიტაცებაზე დაფუძნებული მშვიდობა სამართლიანი ვერ იქნება.

მაშასადამე, იგი ვერც მტკიცე იქნება. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ისრაელმა პირობა დაუთქმელად დაუბრუნოს სირიასა და აგრესიის სხვა მსხვერპლთ მათი ოდინდელი მიწები.

ასევე, მტკიცე ვერ იქნება მშვიდობა, რომელიც ხელყოფს ახლო აღმოსავლეთის რომელიმე სახელმწიფოს თუ ხალხის ინტერესებს. ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება პალესტინის არაბ ხალხს, რომელიც ვიაკაცურად იბრძვის თავისი საკუთარი სახელმწიფოს შექმნისათვის. ეს, რა თქმა უნდა, შეეხება ამ რაიონის ყველა სხვა ხალხს. მათ შორის ისრაელის სახელმწიფოს ხალხსაც. მათ ყველას აქვთ სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და უსაფრთხო არსებობის უფლება.

დიდი ხანია დროა, მდგომარეობის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის კონკრეტული განხილვა დაიწყოს ჟენევის კონფერენციაზე, რომლის ერთ-ერთი თანათავმჯდომარეა საბჭოთა კავშირი. ჩვენ მოვითხოვთ გაუჭიანურებლად იქნეს მოწვეული კონფერენცია.

თავისთავად ცხადია, რომ მის მუშაობაში სრულფასოვანი საფუძველზე უნდა მიიღოს მონაწილეობა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ — პალესტინელ არაბთა კანონიერმა წარმომადგენელმა. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ არცერთი კადაფყვეტილება, რომელიც კი პალესტინის არაბ ხალხს შეეხება, არ იქნეს მიღებული უპალესტინელებოდ ან მათი ნება-სურვილს საწინააღმდეგოდ.

საერთაშორისო კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისათვის, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისა და დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის ბრძოლა, რა თქმა უნდა, არსებული შეიარაღებული კონფლიქტებისა და დაძაბულობის კერების ლიკვიდაციით არ ეფარგლება. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ შეიქმნას ასეთი ახალი კერები.

დღეს იძულებული ვართ საგანგებოდ ვილაპარაკოთ ამაზე, რადგან იმპერიალისტური ძალები და მათი დამკაშები ზაირის საშინაო სამხედრო კონფლიქტში ერევიან.

ჩვენ უკვე ვთქვით ეს, და ისევ მინდა ბაზგასმით აღვნიშნო: თუ აფრიკის ცენტრში დაძაბულობის ახალი საშიში წყარო შეიქმნება, მაშინ ამისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ იმათ, ვინც სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთერთ ფუძემდებელ პრინციპს, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს არღვევს. ჩვენ გადაჭრით ვილაშქრებთ ამგვარი მოქმედების წინააღმდეგ, სადაც უნდა ხდებოდეს იგი. ის, ვინც სხვის საშინაო საქმეებში ეჩრება, ვინც ზაირში და მის ირგვლივ კონფლიქტური სიტუაციის გაძლიერების გზას დასდგომია, სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას.

ამხანაგო პრეზიდენტო! საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის მატიანეში ბევრი ნათელი ფურცელია ჩაწერილი, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და სირიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, როგორც საერთაშორისო საქმეებში, ისე ორმხრივ ურთიერთობაში თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას აშუქებს.

ჩვენი ხალხების მეგობრობას მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ისტორიულ ბრძოლაში მათი ძირეული ინტერესების ერთიანობა, იმპერიალისტური აგრესიის, კოლონიალიზმისა და რასიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ მრავალი წლის ბრძოლის მდიდარი გამოცდილება უდევს საფუძვლად.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის ოდიდარსი. სწორედ იგი განსაზღვრავს ჩვენი ურთიერთობის ხასიათს და მის განვითარებას ყველა სხვა სფეროში. თანასწორუფლებიანობა, ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა და გულახდილობა, პირდაპირობა და პატიოსნება — აი ჩვენი მეგობრობის პრინციპები. ამ პრინციპების საფუძველზე იგი ყველაზე განვითარდება და განმტკიცდება.

ჩვენი მეგობრობა ყველაზე ყოველ ღონეს ეხმარობთ, რომ განვამტკიცოთ თანამშრომლობა სირიასთან ყველა მიმართულებით. და აქ საჭიროა ერთად და ნიადაგ ეზრუნვიდეთ პერსპექტივებისათვის, როგორც ყველა დარგში საბჭოთა კავშირ-სირიის ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებისათვის, ისე აქტიურად საერთაშორისო პრობლემებზე და, უწინარეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთის პრობლემაზე შეთანხმებული მოქმედებისათვის. საამისო შესაძლებლობანი კი გვაქვს.

ნება მიბოძეთ, ვადღეგრძელო არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის პროგრესული ეროვნული ფრონტის თავმჯდომარე, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი ჰაფეზ ასადი!

პროგრესის გზით ევლოს და ყვაოდეს მეგობარი სირია!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და სირიელი ხალხის მეგობრობას!

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჰაფეზ ასადმა.

ამხანაგ ჰაფეზ ასადის სიტყვა

უწინარეს ყოვლისა მინდა მადლობა მოვახსენო ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელიც ჩვენ მოგვესალმა, და გამოვთქვა მადლობა მასპინძლობისათვის, ტრადიციული სტუმართმოყვარეობისათვის, რომლითაც ჩვენ შეგვხვდნენ.

მეგობრულმა სიტყვამ, რომლითაც ახლა ჩვენ ამხანაგმა ბრეჟნევმა მოგვმართა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს მეგობრის სიტყვები იყო. მეგობრობა, ჩვენ რომ გვაკავშირებს, სულ უფრო მტკიცდებოდა მრავალი წლის ბძანილზე ყოველი ჩვენი შეხვედრის შემდეგ.

მეორეც ის, რომ ეს სიტყვები ასახავს ჩვენს პარტიებს, ჩვენს ხალხებსა და ჩვენი ქვეყნების მთავრობებს შორის დამყარებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობას.

ისევე როგორც თქვენს მეგობრულ ქვეყანაში ყველა წინანდელი ვიზიტის დროს, მე გულწრფელად მოგესალმებით და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის, სირიის არაბი ხალხისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობის სახელით, აგრეთვე მოგახსენებთ, რომ ისინი დიდად ეფასებენ სირიის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობას და თანამშრომლობას სხვადასხვა დარგში.

ჩვენ ახლანდელი ვიზიტი და დაწყებული მოლაპარაკება ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა დამოსკოსა და მოსკოვის კონსულტაციებისა და პირადი კონტაქტების განგრძობად მიგვაჩნია. ეს კარგი უკვე მრავალი წელია ჩვენი ურთიერთობის განმასხვავებელი თავისებურება გახდა. იგი იმ გამიზნული ერთობლივი მოქმედების ხორციელსაყოფად მიგვაჩნია, რომელსაც გახორციელებთ, რათა დავამყაროთ და გავაღრმაოთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, საერთო ინტერესებისაკენ, იმ ხალხთა მართალი საქმისათვის ბრძოლის საფუძველზე, რომლებიც თავიანთ თავისუფლებას იცავენ.

ჩვენ სირიეს არაბთა რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას ვავითარებთ იმ უცვლელი მისწრაფების საფუძველზე, რომ განვამტკიცოთ მასთან მეგობრობა. ჩვენ ჯერჯერობით პატივს მივაგებთ მის წამყვან როლს ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის მხარაჭერის საქმეში და დიდად ვფასებთ განსაკუთრებულ წვლილს, რომელიც მას სიონისტთა შემოსევისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, არაბი ერის ბრძოლის მხარდაჭერის საქმეში შეაქვს.

ჩვენი ქვეყნები ყველე ადასტურებენ, რომ მტკიცეა საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობა, რომელსაც უკანასკნელ წლებში, როგორც ეტყობა, რთული ტრაფიკი ჰქონდა. ამ ურთიერთობამ წარმატებით დაძლია სიძნელენი და აღმოფხვრა თავისი განვითარების გზაზე არსებული დაბრკოლებანი.

ჩვენ ყოველთვის გვწამდა, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა დაფუძნებულია პრინციპულ საკითხებში ერთნაირი შეხედულებების, ჩვენი მეგობრობის შეფასებაში აზრთა ერთიანობის, ორმხრივი ინტერესების ბაზაზე და სტრატეგიული ხასიათისაა. ყოველივე ეს ჩვენი ურთიერთობის შენარჩუნებისა და შემდგომი ზრდის საიმედო გარანტიაა. ურთიერთპატივისცემისა და გულწრფელი თანამშრომლობის პრინციპების დაცვისას განსხვავებული შეხედულებები ვერ შეარყევს ჩვენს ურთიერთობას, სანამ ჩვენი მიზნები და პრინციპები ერთგვეროვანია, სანამ ყოველ ღონეს ვხმარობთ მათი განხორციელებისათვის.

მოგეხსენებათ, რომ ახლო აღმოსავლეთს ახლა საშიში ეტაპი დაუდგა იმის შედეგად, რომ ისრაელი ჯიუტად და ხელაღებით ეწინააღმდეგება ყველა ღონისძიებას, რომლებიც მიზნად ისახავს ჩვენს რაიონში სამართლიანი მშვიდობის დამკვიდრებას.

ჩვენი აზრით, ამჟამად მსოფლიოში სულ უფრო მეტად ესმით და შეგნებული აქვთ ასეთი მდგომარეობის ჭეშმარიტი ფაქტების მნიშვნელობა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ ახლო აღმოსავლეთის სამართლიან მშვიდობას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისრაელი მთლიანად დატოვებს 1967 წელს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებს და ცნობს პალესტინის არაბი ხალხის ყველა უფლებებს, უწინარეს ყოვლისა კი მის თვითგამორკვევის უფლებას.

საბჭოთა კავშირმა, თქვა შემდეგ ჰ. ასადმა, რომელიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხებისადმი მხარდაჭერის საქმეში თავის პრინციპებითა და ტრადიციებით ხელმძღვანელობს, ავრეთვე ჩვენთან და სხვა არაბულ ქვეყნებთან თავის მჭიდრო ურთიერთობის ითვალისწინებს, გაალაშქრა არაბი ერის წინააღმდეგ მიმართული ისრაელის აგრესიის ასაღგმაყოფად და მოითხოვა მისი შედეგების ლიკვიდაცია, დადგა პალესტინის არაბი ხალხის ბრძოლის მხარეზე და მხარი დაუჭირა მის თვითგამორკვევის უფლებას. ყურადღება დაუთმო იმ საშიშ ვითარებას, რომელიც ისრაელის მიერ არაბული მიწების ოკუპაციისა და პალესტინის არაბი ხალხის უფლებების უგულებელყოფის შედეგად შეიქმნა. საბჭოთა კავშირი, როგორც დიდი სახელმწიფო და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, ყოველ ღონეს ხმარობდა ჩვენს რაიონში სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის, მტკიცედ მოითხოვდა, რომ უახლოეს ხანებში მოწვეულიყო ჟენევის კონფერენცია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რათა შესრულდეს ყველა ერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებები, რომლებიც ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანას და პალესტინის არაბი ხალხის განუყოფელი ეროვნული უფლებების ცნობას შეეხება.

როცა ჩვენს რაიონში შექმნილ მდგომარეობაზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია არ ვახსენო ტრაგედია, რომელიც მომმე ლიბანს ჰქონდა ორი წლის განმავლობაში, როცა მან შემზარავი ბრძოლები გადაიტანა და უმაგალითო ნგრევა განიცადა.

ჩამოაყალიბა რა სირიის პოლიტიკა ლიბანისა და ამ ქვეყანაში მომხდარი ამაზწინანდელი ამბების მიმართ, ჰ. ასადმა განაცხადა, ჩვენი უდიდესი სურვილია, რომ ლიბანს შეეძლოს ეყოფნოდეს საკუთარ შესაძლებლობებს თავის ტერიტორიაზე უშიშროებისა და სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში და, მაშასადამე, მთლიანად აღიდგინოს თავისი ეროვნული და კულტურული როლი, რათა ძმობისა და თანხმობის სულისკვეთება სუფევდეს პალესტინელი და ლიბანელი ხალხის ურთიერთობაში და მათ შეეძლოთ გაერთიანონ მეცადინეობა თავიანთი საერთო ინტერესებისათვის და არაბი ერის ინტერესებისათვის და გაიღაშქრონ საერთო მტრის წინააღმდეგ.

დასასრულ ჰ. ასადმა თქვა:

ჩვენ თქვენს მეგობრულ ქვეყანაში ჩამოვედით იმ რწმენით, რომ ვითანამშრომლებთ საბჭოთა კავშირთან. რომელიც მხარს უჭერს ხალხთა საქმეს და მტკიცედ იღვწის მშვიდობისა და სამართლიანობისათვის. მშვიდობის ნამდვილი ყადრი სხვებზე უკეთ იციან იმათ, ვისაც განუცდია აგრესია, ოკუპაცია და ნგრევა, როგორც ეს იციან თქვენმა ხალხებმა, ნაცისტური აგრესია რომ გადაიტანეს, და ჩვენმა ხალხმა, სიონისტური აგრესიის მსხვერპლი რომ გახდა. როცა ჩვენცა და თქვენც მშვიდობისათვის ვიღვწით, გვინდა, რომ ეს სამართლიანი და ყოვლისმომცველი მშვიდობა იყოს, ვინაიდან ჩვენი აზრით, მშვიდობის საქმე განუყოფელია. ჩვენი აზრით, მშვიდობა ვერ დამყარდება, თუ იგი უზრუნველყოფს მხოლოდ ერთი მხარის სიმშვიდეს, მაშინ როდესაც მეორე მხარე უსამართლობისაგან იტანჯება. მწამს, რომ სოლიდარობას და ყველა არსებული გზისა და საშუალების გამოყენებით მშვიდობის საკეთილდღეო მოღვაწეობას უცილობლად მოჰყვება მშვიდობა.

დღეს ჩვენი მოლაპარაკება დაიწყეთ გულწრფელი მეგობრობის სულისკვეთებით და იმის მტკიცე რწმენით, რომ უზრუნველყოფთ ჩვენი მეგობრობის გაძლიერებას, თანამშრომლობის განმტკიცებას და მისი პერსპექტივების გაფართოებას. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახლანდელი ვიზიტი ახალ წვლილს შეიტანს ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში.

მხურვალედ მივესალმები ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, ვუსურვებ მას ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

მივესალმები საბჭოთა ხალხს, რომელთან მეგობრობთაც ჩვენ ვამაყობთ და რომელთან თანამშრომლობის განმტკიცებასაც ვისწრაფვით. ვუსურვებ თქვენს დიად ქვეყანას შემდგომი წარმატებები მოეპოვებინოს ყველა დარგში.

მოგესალმებით ყველას, მეგობრებო, და გისურვებთ ბედნიერებას და კეთილდღეობას.

დაე, მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობა და ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა!

* * *

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ჰაფეზ ასადის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

საღამოს მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად

პროლეტარული რევოლუციის პიონერი

პანოი, (საკდესი). „მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს განუზრელი ზრდისა და განმტკიცების სამოცი წელი" — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის თეორიულმა და პოლიტიკურმა ჟურნალმა „კონგ შანმა" („კომუნისტმა") სტატია საბჭოთა ხალხის მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გამოვლილი სახელოვანი გზის შესახებ.

დიდი ოქტომბრის იუბილესთან დაკავშირებთან, აღნიშნულია სტატიაში, ვიეტნამელი კომუნისტები და მთელი ხალხი აღფრთოვანებას გამოთქვამენ საბჭოთა ხალხის შესანიშნავ წარმატებათა გამო, ნიადაგ სწავლობენ საბჭოთა კავშირის ისტორიულ გზას და შესანიშნავ გამოცდილებას, ვინაიდან ეს თავიანთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში თვალნათლის წყაროდ მიიჩნიათ.

ვახდა რა პროლეტარული რევოლუციის პიონერი, საბჭოთა სახელმწიფო ოცდაათი წლის მანძილზე ეულ კუნძულად იყო მსოფლიო კაპიტალიზმის უზარმაზარ ზღვაში, მრავალი განსაცდელი გადაიტანა და იმპერიალისტური ძალების გაალიერებული თავდასხმებიც უკუაგდო. საბჭოთა ხალხმა უჩვეულო სიმამაცითა და შესანიშნავი შემოქმედებითი ნიჭით სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაძლია მთელი სიძნელენი და განსაცდელი, მსოფლიოში პირველმა წარმატებით აშენა სოციალიზმი და თავისი ქვეყანა რევოლუციური ძალების დედაბოძად გადაქცია.

საბჭოთა კავშირმა, ხაზგასმით აღნიშნავს „კონგ შანი" რეალობად აქცია ლენინის იდეები განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აშენების შესახებ. საბჭოთა კავშირი პირველი იყო, ვინც პროლეტარული რევოლუციი მოახდინა, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შექმნა, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება აშენა და ახლა ასრულებს ისტორიულ მისიას, უკვალავს რა კაცობრიობას კომუნიზმის გზას.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმების შესრულება საბჭოთა ხალხს ახალ შესანიშნავ ჰორიზონტებს გადაუშლის და უდიდესი წვლილი იქნება ეპოქის რევოლუციური ძალების განმტკიცებაში.

საბჭოთა ხალხს, რომელმაც ისტორიაში უმაგალითო საგმირო საქმენი ჩაიდინა, „თვალსაჩინოს ამ შრომის წარმატებებს მიაღწია, უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მთელი კაცობრიობის წინაშე, ყველაზე გულითად გრძნობებს ეუცხადებთ მომავე საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს, წერს დასასრულ ვიეტნამელ კომუნისტთა ჟურნალი.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი საბერძნეთში გამოიცა

ათენი, (საკდესი). ამიერიდან ბერძენი მკითხველები შეძლებენ მშობლიურ ენაზე გაეცნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებს. მაღაზიებში უკვე იყიდება ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ლენინური კურსით" (1972-1975 წლების სიტყვები და სტატიები), რომელიც ათენის გამომცემლობა „პლანიტასმა" გამოსცა.

მშვიდობის დაუღალავი მებრძოლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები ყოველთვის იწვევს ცხოველ ინტერესს თავისი ღრმა შინაარსით, მშვიდობისათვის, პლანეტის ყველა ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლის მაზნებარე სურვილით, ხაზგასმით აღნიშნა ამ გამომცემლობის დირექტორმა კ. კამარინოპულოსმა. წიგნზე „ლენინური კურსით", აღნიშნა მან, დიდი მოთხოვნაა.

გადაეცა მაღალი ჯილდო

საბჭოთა სამხედრო დელეგაცია პრაღაში

პრაღა. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ჰუსაკმა პრაღის კრემლში მიიღო საბჭოთა სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი. დელეგაცია ოფიციალური მეგობრული ვიზიტით არის ჩეხოსლოვაკიაში.

გულითადი ამხანაგური საუბრის დროს გ. ჰუსაკმა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობისა და ჩეხოსლოვაკიელი მშრომელების სახელით გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის მთავრობასა და ხალხს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში სისტემატიური დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. შეხვედრის დროს განიხილეს ორი მომმე არმიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და ჩეხეი ხალხების მეგობრობის გაღრმავების საკითხები.

გ. ჰუსაკმა დ. თ. უსტინოვს გადასცა ჩეხოსლოვაკიის მაღალი ჯილდო — პირველი ხარისხის თეთრი ლომის ორდენი, რომლითაც დაჯილდოდა ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიისა და საბჭოთა არმიის, ჩეჩოსლოვაკიისა და საბჭოთა ხალხების საბრძოლო მეგობრობის გაღრმავებაში დამსახურებისათვის.

დ. თ. უსტინოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას ამ მაღალი ჯილდოსათვის.

საკადესი

ექვსე ცნობები

დევიზი: ქალაქი— მშვიდობის იმედი

● **რომი.** დევიზით „ქალაქი—მშვიდობის იმედი" ტურინში გაიხსნა დაძმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი სამჯოს სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, 89 ქალაქის წარმომადგენელნი.

ნავსადგური პარალიზებულია

● **ნიუ-იორკი.** გრძელდება შეერთებული შტატების აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს ნავსადგურის მუშაობა გაფიცვა. ქვეყნის უდიდეს ნავსადგურებში ნავმისადგომებთან დგას გემები, რომელთა გადმოტვირთვაზე დოკერებმა უარი განაცხადეს იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ 7 უდიდესმა ნაოსნობა კომპანიამ უარი თქვა შეიტანონ მუშებთან დადებულ ახალ კოლექტიურ შეთანხმებაში მათი მოთხოვნები ხელფასის მომატებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. პრაქტიკულად პარალიზებულია ნიუ-იორკის ნავსადგური — უდიდესი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მცირდება პარიზის მოსახლეობა

● **პარიზი.** 1,7 პროცენტით შემცირდა საფრანგეთის დედაქალაქის მოსახლეობა 1968 წლიდან 1975 წლამდე. ამჟამად „პატარა" პარიზში ცხოვრობს 2 მილიონ 300 ათასამდე კაცი. პარიზელების ხაშუალი ასაკია 40 წელი.

კარიკატურისტის კომენტარი

ბურჟუაზიული სახელმწიფოები „აღმოსავლის უფლებათა დაცვის" ხაბაბით ცდილობენ სოციალისტური ქვეყნების სამინაო საქმეებში ჩარევას, მაშინ როცა კაპიტალისტურ სამყაროში 17 მილიონი კაცი უმუშევარია (გაზეთებიდან).



როცა სხვის საქმეში ფინგს ყოფენ.

ბ. ლომიძის ნახატი.

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო"!

ბრუკლინი ნიუ-იორკის ერთ-ერთი ღარიბი რაიონია. აქ არ არის ამერიკის უდიდესი ქალაქისათვის დამახასიათებელი ცათამბჯენები. დატაკებს საცხოვრებელი „ბინა" ნახევრადდანგრეულ, ფანჯრებჩალეწილ სახლებში უდევთ, სადაც ცხოვრების ელემენტარული პირობებიც არა აქვთ (სურათზე ქვემოთ).

ხამალალოგა მათი ბინადრების ხვედრიც. მეტ წილს წლობით არა აქვს სამუშაო. ეს უსახლკარონი (სურათზე ზემოთ) შიმშილის გ ა ნ რომ არ დაიხოცნენ, იძულებული არიან მოთმინებით ელოდონ საქველმოქმედო ორგანიზაციების უფასო „სადილს".

ხაკდესის ფოტო.

საერთაშორისო კომენტარი

გარკვეული დროიდან დასავლეთევროპელ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის მოდად იქცა დასკვნითი აქტის მოშველიება, რომელსაც 1975 წლის აგვისტოში ჰელსინკში ხელი მოაწერეს ევროპის 33 ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლებმა. ინველიებენ იმ დოკუმენტს, რომლის, შინაარსი ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენებისთვის არც კი გაუცვნიათ. ახლა, როცა ამ დოკუმენტში გაუთვალისწინებელ საქმიანობას ეწევიან, მათ შესაძლებლობა მიეცათ „თავისებურად" განმარტონ დასკვნითი აქტის ცალკეული დებულებები.

ფაქტების თავდაყირა დაყენებით და ათასგვარი მონაჩაბახით შენებერგის რატუშის მჭონელთა ხელისუფლება და ბურჟუაზიული პრესა ცდილობენ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას შთაგონონ, თითქოს სოციალისტური ქვეყნები და უპირველეს ყოვლისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — მათი უშუალო მეზობელი — აბრკოლებდნენ ევროპაში ნორმალიზაციისა და დაძაბულობის შენელების პროცესს, თითქოს სწორედ ისინი არ ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს.

მივმართოთ ფაქტებს.

1977 წლის დასაწყისიდან დასავლეთ ბერლინის ტერიტორიიდან განხორციელდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის პროვოკაციული დარღვევის მრავალი აქცია. დასავლეთ ბერლინის მხრიდან 56-ჯერ დაუშინეს ქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებსა და შენობებს, აღრიცხულია საზღვრის პერსონალის უხეში შეურაცხყოფის ათობით შემთხვევა.

დასავლეთ ბერლინის მოქალაქეებმა 192-ჯერ უკანონოდ გადავიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე და მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

მაგალითად, 16 თებერვალს სამი უცნობი პირი თავს დაესხა მესაზღვრეებს, ემუქრებოდნენ, ფაშისტურ და ანტიკომუნისტურ ლოზუნგებს გაიძახოდნენ.

როგორც ცნობილია, არსებობს შეთანხმება დასავლეთ ბერლინის მუდმივ მცხოვრებთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სატრანზიტო მოგზაურობის შესახებ. ზოგი მათგანი ხშირად ამ შესაძლებლობას არაკეთილსინდისიერი, სპეკულაციისა და პროვოკაციული მიზნით იყენებს. ხოლო როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იძულებულია თავისი მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით საჭირო ღონისძიებები განახორციელოს და არასასურველ ბოროტმოქმედ ელემენტებს კარი ჩაუკეტოს, შენებერგელი პოლიტიკანები პოზას იჭერენ და ფველა გზაჯვარედინზე გაპყვირიან „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა, მათ შორის ხანმოკლე თანხმობის დასკვნითი აქტის, დარღვევის შესახებ", ცდილობენ თავიანთი დანაშაულის სხვისთვის გადაბრალებას.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სენატის მოქმედებაში არავითარი ლოგიკა არ არის, როცა ერთი მხრივ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან მოითხოვს კონტაქტების გაფართოებას და ამავე დროს არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავის ქალაქში უზრუნველყოს იმ ბიუროების მშვიდი და ნორმალური მუშაობა, რომლებსაც სწორედ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის ორგანიზაციის საკითხები ევალებათ.

წლეულს 7 მარტს დასავლეთ ბერლინის მცხოვრები იურგენ გეზელი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის ორგანიზაციის შარლოტენბურგის რაიონულ ბიუროში შეიჭრა და უხეშად შეურაცხყო იქ მომუშავე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეები.

ირთი დღის მანძილზე იგი რამდენიმე ასეთ ბიუროს „ეწვია" და იგივე სცენა განმეორდა, თანაც მას ახლდა დასავლეთ ბერლინის პოლიცია, რომელსაც თითიც არ გაუნძრევია თავზეხელაღებული ხულიგნის წინააღმდეგ საჭირო ზომების მისაღებად.

დასავლეთ ბერლინის ხელისუფლება ცდილობს შეაფერხოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი და ყოველნაირად აბრკოლებს ქალაქის მცხოვრებთა მოგზაურობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თუმცა სიტყვით კონტაქტების გაფართოებას მოითხოვენ, რაც საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად კეთდება. სხვანაირად როგორ შეიძლება შეაფასო იმ კომპეტენტური ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ვალდებული არიან დასავლეთ ბერლინის მხრივ გაფორმონ ასეთი მოგზაურობები, სინამდვილეში კი შეგნებულად ეწევიან თავიანთი მოქალაქეების დეზინფორმირებას და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან კონსულტაციის საშუალებასაც არ აძლევენ?

აი თუნდაც რამდენიმე მაგალითი:

თებერვლის დამდეგს ცოლქმარმა კელერებმა, რომლებსაც ყველა საჭირო დოკუმენტი ჰქონდათ, გერმან

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲖᲣᲡᲢᲘ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲗ

ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ!

ᲣᲐᲮᲜᲐᲡᲐᲮᲔᲚᲘ წლებში ავტორანსპორტული შეჯიბრების არაერთი მნიშვნელოვანი თაოსნობა გამოცდილება შეა, რამაც ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მკვეთრად გააუმჯობესა კოლექტივების შრომითი დისციპლინა, აამაღლა მძღოლთა პირადი პასუხისმგებლობა და, ეხადია, გაზარდა ავტოპარკის გამოყენების მაჩვენებლები.

თავის დროზე ჩვენ ენთუზიაზმით გამოვეხმაურეთ სოციალისტური შრომის გმირის ვ. ემნაძის ინიციატივას, შეეისწავლეთ მისი მუშაობის გამოცდილება და დაერწმუნდით, რომ თაოსანი მძღოლის შრომის საიდუმლო პირველ რიგში ის იყო და არის, რომ იგი ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს, არ ზოგავს ძალღონეს დავალებებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის.

ტრანსპორტი დიდი ძალაა. მისი მაქსიმალური ამოქმედება და ქვეყნის სამსახურში მთლიანად ჩაყენება ჩვენი, მძღოლების საპატიო მოვალეობაა. თექვსმეტი წელიწადია № 2651 ავტოკოლონაში ვმუშაობ და არ მახსოვს, რომ ჩემი მოვალეობა პირნათლად არ შემესრულებინოს.

ხშირად შეკითხებიან: როგორ ახერხებ, რომ ყოველდღიურ ნორმებს მედამ ასრულებ და ერთი ხელმეშლელი მიზეზი არ გამოგიჩნდებათ? მინდა ასე ვუპასუხო ამ კითხვას: ეს იმიტომ ხდება, რომ ჩემი პირადი გეგმა-რეჟიმი მაქვს, რომელსაც უთუოდ ვიცავ და დღიური ნორმების შესრულებას საფრთხე იმიტომაც არ ემუქრება.

მინდა ჩემი კოლეგების შრომითი გამოცდილების ის უბრალო მაგალითები მოვიყვანო, რომელთა მეოხებითაც იაინი წარმატებას აღწევენ. თბილისის № 10 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ვ. ცხვარაძე, მაგალითად, წინასწარ რაც შეიძლება ადრეადვ სწავლობს სავალ მარშრუტს, და მარშრუტების ხშირად შეცვლაც კი ვერას აკლებს მის ნაყოფიერებას. ამიტომაც არის, რომ მისი გამომუშავება 1,5-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ არის ავტოსაწარმოში.

ლენინუთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს გ. გიორგაძეს ყოველი თვითეული სამუშაო დღე საათობრივ გრაფიკად აქვს დაყოფილი, ყოველი რეისიც გრაფიკის ზუსტი დაცვით სრულდება, ამიტომაც გაითქვა სახელი თავის კოლეგებს შორის, როგორც დამკვრელური, სწრაფი რეისების შემსრულებელმა.

მეც მაქვს ჩემებური მუშაობის მეთოდი. ყოველი სამუშაო დღის ბოლოს უთუოდ თვითონ ვამოწმებ ავტომანქანის ტექნიკურ მდგომარეობას, მაშინვე აღმოვფხვრი ხარვეზებს და მომავალი დღისათვის საჭირო საწვავსაც მაშინ ვიმარაგებ. სამაგიეროდ მეორე დღეს არცერთ წუთს უქმად აღარ ვკარგავ. ამით საგრძნობლად მცირდება ე. წ. მოსამზადებელი სამუშაოების დრო და ავტომანქანა ყოველთვის დროულად გამოდის გარაჟიდან.

ავტომობილებით ტვირთზიდვის დაჩქარების კარგი მეთოდი მისაბმელების გამოყენებაა. ყოველი სატვირთო მანქანის მძღოლის მიზანი უნდა გახდეს ის, რომ მისაბმელი გამოიყენოს და პირადი შრომის ნაყოფიერება გაორკეცოს, მაგრამ ამისათვის თავისი ოსტატობის დონეც უნდა აამაღლოს, მისაბმელიანი ავტომობილის მართვაა სრულყოფილად დაეუფლოს.

1973 წლიდან ავტომისაბმელით ვმართავ ჩემს ბენზინისაზიდ ავტომობილს, ათასობით ტონა ზეგგმოთი ტვირთი მაქვს გადაზიდული, ამიტომაც არის, რომ ავტომანქანის გამოყენების ჩემი პირადი კოეფიციენტი ჩვენს კოლექტივში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ამჟამად თბილისის ნავთობბაზას ვემსახურებით. ბენზინს ვაწვდით ჩასასხმელ სადგურებს და საწარმოებს, ორგანიზაციებს. შეფერხება ამ საქმეში არ შეიძლება, ამიტომ პირადი კონკრეტული ვალდებულება მაქვს ნაკისრი, რომ რადაც უნდა დამიჯდეს დღიური დავალება უთუოდ შევასრულო.

ქუთაისის და თბილისის პირველი მაისის მშრომელთა ახალ თაოსნობას რომ გავეცანი, გადავხედე პირად ვალდებულებას და გადავწყვიტე, რომ ყოველდღიური დავალების გადამეტებით ერთი რეისი გავაკეთო, რომ ხუთწლედი 8 წელიწადში შევასრულო.

გ. ოქროცვარიძე,
თბილისის № 2651 სატვირთო ავტოკოლონის მძღოლი, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡ სამხრეთ ოსეთი ზეიმობს თავისი ავტონომიის 55-ე წლისთავს. 1922 წლის 20 აპრილს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტით სამხრეთ ოსეთს მიენიჭა ეროვნული ავტონომია, რითაც მიეცა ეკონომიკური და კულტურული აყვავების შესაძლებლობა.

კომუნისტური პარტიისა და ხალხთა მთავრობის დიდი ზრუნვის, ქართველი და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხების ძმური დახმარების შედეგად სწრაფად ვითარდება ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ყოველდღიურად უმჯობესდება სამხრეთ ოსეთის მშრომელთა კეთილდღეობა.

ახლა ოლქში მეტად მნიშვნელოვანი ობიექტებია, როგორიც არის ქარხნები „ელექტროვიბრომანქანა“ და „ემალსადენი“, კვაისის ტყვიათუთიისა და წნელისის „საქთალის“ საწარმოები, სამკერვალო ფაბრიკა, ხე-ტყის კომბინატი, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატი და სხვა საწარმოები.

55 წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თითქმის 100-ჯერ გაიზარდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. წვრილ ერთპიროვნულ მეურნეობათა ნაცვლად, შექმნილია თანამედროვე მძლავრი სამამულო ტექნიკით აღჭურვილი ხალხთა მეურნეობები და კოლმეურნეობები. სახალხო შრომის დასტურია ის, რომ მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის 1975 და 1976 წლების რესპუბლიკურ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით მათ მიენიჭათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები.

სამხრეთ ოსეთის მრეწველობისა და სოფლის მშრომელები დგანან ოქტომბრის საიუბილეო შრომის ვახტზე და მრავლდება წარმატებები. მრეწველობის მუშაკებმა პროდუქციის წარმოების წლევანდელი პირველი კვარტალის გეგმები 105 პროცენტით შეასრულეს, პროდუქციის რეალიზაციისა კი 106 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია 622 ათასი მანეთის ნაწარმი. დღეისათვის ავტონომიურ ოლქში არ არის არცერთი ჩამორჩენილი სამრეწველო საწარმო.

ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოთა შორის ცხინვალის ელექტროვაბრაციული მანქანების ქარხანის წამოყენებული რაციონალიზატორული წინადადებების დინერგვაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. შარშან ამ ქარხნის რაციონალიზატორებმა საწარმოს შვიდი ათასი მანეთი ეკონომია მისცეს.

ქარხნის მოწინავე რაციონალიზატორები ახალგაზრდა კონსტრუქტორი გ. არსოევი, მექანიკურ-საამწყობო უბნის უფროსი ხ. გაგლოევი, ოსტატი ა. გოროვი, ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი ხ. ქოხაევი და სხვები მუდამ შემოქმედებით ძიებაში არიან. წელს მათ შვიდი რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს. რაციონალიზატორთა საქარხნო საბჭომ რეკომენდაცია მისცა მათს წარმოებაში დანერგვას. ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ რამდენიმე ათასი მანეთი დაიზოგება.

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ დასავლეთით დაიწყო ახალი მექანიკური ქარხნის მშენებლობა. იგი 16 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავებს, სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონი მანეთია. ახალი ქარხნის სიმძლავრე ორ-სამჯერ მეტი იქნება ძველთან შედარებით. მუშათა რაოდენობა 10-ჯერ გაიზრდება.

მშენებელთა ბრიგადა რომან გაგლოევის ხელმძღვანელობით დამკვრელურად შრომობს. მშენებელთა მიზანია წელს 300 ათასი მანეთი აითვისონ.

ᲔᲠᲗᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲓᲐᲜ

140 ᲐᲗᲐᲡᲘ ტონა ხორცისათვის იბრძვიან სამხრეთ ოსეთის მშრომელებიც.

ცხინვალის რაიონის სოფელ ყლარსის მკვიდრმა ფ. კულუმბეგოვმა პირად მეურნეობაში გაზრდილი ორი სული მსხვილფეხა რქოანი პირუტყვი 900 კგ წონისა და ერთი ღორი 83 კგ წონისა ჩაბარა ცხინვალის ხორცკომბინატს. წლის ბოლოდე იგი კიდევ ორ სულ ღორს გაასუქებს და მიჰყიდის სახელმწიფოს.

გ. თედეევი.
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘ ᲬᲔᲚᲘᲡ

☐ **ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ** ოსეთში საიუბილეო წელს კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა მიაღწევს 30 მილიონ მანეთს, შარშანდელზე 8 მილიონი მანეთით მეტს.

☐ **ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ** შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ გაიზრდება 5,2 პროცენტით.

☐ **ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲨᲘ** აშენდება 20, 60, 54 და 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლები.

☐ **ᲒᲐᲖᲤᲘᲙᲝᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ** ცხინვალის მეხუთე საშუალო სკოლის, პიონერთა სახლის, ჯავის საშუალო სკოლის მიშენება, გრომისა და წნელისის საშუალო სკოლების მშენებლობა.

☐ **ᲛᲬᲕᲘᲝᲜᲐᲠᲨᲘ** ჩადგება საოლქო ბიბლიოთეკის შენობა, სამეურნეო საქონლისა და ავეჯის საწყობი.

☐ **ᲨᲠᲝᲛᲘᲡ** ნაყოფიერების ამაღლების გზით სამრეწველო პროდუქციის წარმოება ოლქში მიაღწევს 63.189 ათას მანეთს, 7 პროცენტით მეტს, ვიდრე შარშან.

☐ **ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ** ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ 18.645 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲓᲦᲔ, ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘᲡ 11.762 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (მარცხნივ) — არცევის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჰ. გოიაევი; ცხინვალის ემალსადენის ქარხნის მომმინანქრე ბ ე ლ თ ა ბრიგადირი ფ. გასიევა (მარჯვნიდან მეორე) ბრიგადის წევრებთან ერთად; სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ახალგაზრდა ცეკვა „სიმღეს“.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტოქრონიკა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘ. კომფორტაბელური საჰაერო ლაინერი „ტუ 154“ მსუბუქად დაეშვა მომმე უკრაინის დედაქალაქში, სადაც საქართველოს ჩაის კვირეული ტარდება.

პირველი რაც თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსულისთანავე თვალში მოგვხვდა, ეს იყო დამხვდურთა კეთილი ღიმილით გასხივოსნებული სახეები და ლამაზად გაფორმებული პლაკატი, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება გმირ ქალაქ კიევში, ძვირფასო ქართველო მეგობრებო“.

კიევი პირველად მასპინძლობს ქართველი მეჩაიეების თავდადებული შრომის ნაყოფს, სიცოცხლის ელექტრად წოდებულ ქართულ ჩაის. აქ ამ დღეებში ყველგან და ყველფერში იგრძნობა საზეიმო განწყობილება. კიეველებს ქართული ჩაის კვირეულის დაწყებამ აუწყებენ ლამაზად გაფორმებული სარკლამო ფაერები, პლაკატები, ტრანსპარანტები.

გუშინ კიევის საქალაქო საბჭოს აღმასკომში მოეწყო შეხვედრა საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე განიხილეს კიევში ქართული ჩაის კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები, ქართული ჩაის შემდგომი პროპაგანდის მიზნით დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები.

კვირეულის დღეებში კიევის საუკეთესო რესტორნებში, კაფეებში, სასადილოებში გაიმართება მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის დეგუსტაცია, ჩვენი სპეციალისტები, კიეველებსა და უკრაინის დიდაქალაქის სტუმრებს გააცნობენ ჩაის დაყენების წესებს, ესაუბრებიან მის ღირსებებზე. ამ დღეებში ქალაქის მაღაზიების დიდი უმეტესობა ქართული ჩაით ივაჭრებს.

კიევში ქართული ჩაის კვირეულის მოწყობის ინიციატორები არიან საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაი“ და საქართველოს სარკლამო-საგაგნტო „ეფერია“, აგრეთვე თბილისის „ჩაის სახლი“, ჩაის საწონი ფაბრიკა და უკრაინის შესაბამისი ორგანიზაციები, მათ შორის უკრაინის სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

* * *

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔ უკრაინის დედაქალაქში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქართული ჩაის კვირეული. კიევის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სხდომათა დარბაზში საქართველოს დელეგაციამ გამართა პრეს-კონფერენცია.

პრეს-კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. კონცელიძე, გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ მმართველი ო. აბესაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროსი კ. ბერიძე, ჩაის მრეწველობის საკავშირო-სამეცნიერო გაერთიანების გენერალური დირექტორი კ. გულუა, გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ მთავარი სპეციალისტი ი. გალდავაძე, ბობოყვათის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ჩელებაძე, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მეუნარგია და სხვები, ქართველი ჩაის სპეციალისტები, ტიტესტერები...

ქართველმა სპეციალისტებმა კიეველებს გააცნეს ჩაის მოყვანის, გადამუშავების და დაყენების ტექნოლოგია.

ამრიგად, მომმე უკრაინის დედაქალაქ კიევში ჩაის კვირეული დაიწყო.

ქართული ჩაის კვირეული კიევში 24 აპრილამდე გასტანს. კვირეულის დასკვნითი ზეიმი გაიმართება 23 აპრილს ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორან „ლუბკოში“.

რ. რუსია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ. (ტელეფონით).



ᲐᲚᲑᲐᲗ მოგეხსენებათ, ნეტარხსენებულმა სოლომონ ისაკის მეჯღანუაშვილმა, ცნობილმა პერსონაჟმა ლავრენტი არდაზიანის ამავე სახელწოდების რომანდან, ფული ფულად რომ მოიხეკეა და ქონება ქონებად, მერე გვარის გამოცვლაც მოიპრიანა. ბევრი იფიქრა, ბევრი იდავიდარაბა, მაგრამ ფუძედან „ჯღანი“ მაინც ვერ ამოგლიჯა! და ბოლოს იძულებული გახდა ბედს შერიგებოდა — მეჯღანუაშვილად მიებარებინა ცოდვილი სული მიქელ გაბრიელისათვის.

დიდი, ძალზე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. სოლომონ ისაკიჩები და მათი შთამომავალნი უძველეს მოგონებათა გახუნებულ ფურცლებში დაიკარგა. მაგრამ... ღმერთმა არ იცის საიდან გადაიცლიან ხოლმე სქელ მტვერს ეს ფურცლები და ზოგჯერ ახალი სახით გვეკლინებიან. ამბობენ: ფული ფულად რომ მოიხვეჭეს და ქონება-ქონებად, ქუთაისში მცხოვრები ძმები პიტნავები მეჯღანუაშვილების ღვიძლ მემკვიდრეებად მოგვევლინენო.

— ბიჭო, სამშე, — მიმართა ერთ დღეს ი. პიტნავამ ძმას, — გვარი გამოვიცვალოთ, იცოდე შენ... პიტნავა რაღაცა კარგად ვერ ეჯერს.

— რატომ, შე კაცო, პიტნა ხომ მწვანილის ოჯიათი სახეობაა. მაგი ობბალო კი არ არის! პიტნიან ჭუნტ ყველს რა სჯობს.

— კი, მარა, მაინც... არ მოგწონს, არა, ჩემი გვარი.

— შე დალოცვილო, მამაზეციერს პიტნა და ოხრახუში, პრასა და ნიახური, ახალი ხახეი და ქინძი რომ არ გაეწინა, „ვოლგებს“ კი არა, ურემსაც ვერ ვეღირსებოდით.

— აბ, არა, არა... გვარი უნდა გამოვიცვალოთ. საქართველოში ხშირად მაინც არა ვართ, დღეიანდაგ რუსეთში დავხეტიალობთ და პიტნოვიანი რომ დაგვერქვა, ვითომ არ ივარგებდა?

— შე სელელო, პიტნა ხომ მაინც პიტნაა.

მეტი ვეღარ მოითმინა ჯიშმა და გვარის მოტრფიალე ძმამ, ახალთახალ გაპრიალებულ „ვოლგას“ მოუჯდა, წინ საგულდაგულოდ ჩამოკიდებული „ავი თვალისგან“ დასაცავი ავგაროზი შეასწორა და ნინოშვილის ქუჩაზე გაჯრიხდა.

პიტნავები პიტნავებად ცხოვრობენ და ცოცხლობენ ქუთაისში, ფლობენ ორ-ორ სართულიან სახლებს, დასეირნობენ „ვოლგებით“, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით თავს არ წუხებენ, ტანად და ფეხბურთულად ღიაბაც კარგად გამოიყურებიან. ერთი სიტყვით, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა — ქალამნად.

შეიძლება არ დაიჯეროთ, გასმაკითხავი რომ ყოფილიყო, ავტოინსპექციის მუშაკთა ფხიზელი თვალი რომ ყოფილიყო, სამშე პიტნავა 1970 წლიდან დღემდე ხუთ მსუბუქ ავტომანქანას, ხოლო მისი ძმა იაშა — ექვსს ვერაფრით ვერ გამოიცვლიდნენ.

მიეყვეთ თანმიმდევრულად: **სამშე პიტნავა:** 1971 წლის 8 თებერვლიდან იმავე წლის 31 სექტემბრამდე ფლობდა ავტომანქანას ზიმ — 12 გრზ №57-39. 1973 წლის 11 ივნისს მოსკოვიდან ჩამოიყვანა და იმავე წლის 5 ივლისს ქუთაისში გაყიდა ავტომანქანა „ჟიგული“ გაზ-2102 („ფურგონი“) გაზ № 86-41. 1974 წლის 11 ივნისს მოსკოვში შეიძინა (უშაყმა უწყის, შეიძინა თუ...) ავტომანქანა გაზ-21 გაი № 83-80, რომელიც იმავე წლის 23 სექტემბერს „გაიიმსქნა“ ისევ ქუთაისში და ოთხი თვის შემდეგ კვლავ მოსკოვში, მაგრამ ამჯერად — მოსკოვის ოლქში შეისყიდა ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ —21 („ფურგონი“) გარ № 58-89. 1976 წლის 26 თებერვალს აღარც ეს „ვოლგა“ დაინდო, მანამდე, 9 თებერვალს კი მოსკოვიდან ჩამოტანა „ვოლგა“ გაზ — 24, გაია № 94-77.

ᲘᲐᲨᲐ ᲞᲘᲢᲜᲐᲕᲐ: 1963 წლიდან საკულაციისათვის სასჯელს იხდიდა. პატიმრობიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს 1964 წლის 14 აგვისტოს, მაგრამ საბჭოთა მართლმსაჯულების ჰუმანურობამ მასზე როდი იმოქმედა. 1970 წლის 28 მაისს აფხაზეთში შეეძინა „ვოლგა“ გაზ —21 გრზ № 23-10, რომელიც 1972 წლის 4 ივნისს გაყიდა. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 1972 წლის 11 ივნისს მოსკოვში შეეძინა „ვოლგა“ — გაზ —21 გაე № 26-95, რომელიც მიასალა იმავე წლის 4 აგვისტოს. კიდევ ექვსი თვე და 1973 წლის 24 აპრილს ვილნიუსიდან შემოაჯირითა „ვოლგა“ გაზ —24 გალ № 39-19, რომელიც 1973 წლის 11 დეკემბერს გაყიდა. კიდევ ექვსი თვე — 1974 წლის 27 მაისს მოსკოვიდან მოაქროლა „ვოლგა“ № 83-08, რომელიც 1975 წელს გასალა. 1975 წელს მასზე ირიცხებოდა „ჟიგული“ მაგრამ გორკიდან კვლავ ჩამოიყვანა ახალი „ვოლგა“ გაზ-24, გაი № 90-90, რომელსაც დაატარებს აღმა-დაღმა.

მოდით, ამ განცხადებაზე ს. პიტნავას შრომის ფიგურაში ჩავიხედოთ: 1964 წელს, როცა ქუთაისის „მწვანე ბაზარში“ კარგად გაიწაფა და ხელიც მოითბო, მშობლიურ სოფელში ცხოვრება აღარ მოისურვა და № 3 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორაში მიეწყო მანქანების მრეცხავად. მხოლოდ ოთხი თვე „რეცხა“ მანქანები“, ზედ ალბათ, სინდისიც მიარეცხა და 1964 წლის ოქტომბერში დასუფთავების ტრუსტს მძღოლად მოეკონა. შორს წაგვიყვანდა ყველა ორგანიზაციისა თუ დაწესებულების ჩამოთვლა, სადაც იგი ისვალასნეა დროს, ორისამი თვე ხანგამოშვებით მუშაობდა: „საქმონტაჟსპეცმშენი“, ელექტრომექანიკური ქარხანა (აქ, სხვათა შორის ღამის დარაჯად იყო გაფორმებული), ისევ „საქმონტაჟსპეცმშენი“, „ავტოკოლონა, ისევ ქარხანა... უმეტეს დროს, რასაკვირველია უსაქმურობაში ატარებს და სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში დაძარწოს.

მერედა კოლექტივები, მითი ხელმძღვანელები, მეზობლები? ხუთუ ერთხელ არ დაინტერესდნენ ამ ფრეხია და მოხეტიალე პიროვნებით?

— მობრძანდით, სამშე, ქორწილი გვაქვს! — ეპატიჟებიან ზოგჯერ მას.

— დღეობაზე დაგვაფასე, ბატონო სამშე! — ესათუთებიან სხვაგან.

მისატან-მოსატანში თავს არ შეიორცხენს. კი, გული კი ეთანაგრებათ მასთან მეგობრობითა და მეზობლობით, მაგრამ გამოთქმა „რა ჩემი საქმეა“... ჯერ კიდევ ძალსა და რბილშია გამჯდარი.

— რი გინდათ ჩემგან, პატიოსანი კაცი ვარ, ბოლოს და ბოლოს ერთი ავადმყოფი ცოლის პატრონი გახლავართ და ორი მოსწავლე შვილის მამა. ორსართულიანი სახლის ქვედა სართულში ოთხი ოთახია, მაგრამ საცხოვრებლად არ ვარგა, ნესტიანია, ამიტომ ზედა სართულში ვცხოვრობთ. ხუთი მანქანა რა სახსენებელია, ზოგიერთებს მეტი აქვთ გამოცვლილი. „თავს იკატუნებს“ სამშე, მერე შეზერდება და დამბენს: — საქმე საქმეზე რომ მიდგეს, დანშაულს ვერ დამიმტკიცებთ, მე და ჩემი ძმა პიტნავები ვართ და ასე გვეპატნავება.

მართალია, პიტნავებს ასე ეპატნავებათ, მაგრამ მშრომელი ხალხის ხმა უკვე მრისხანედ გაისმის — პიტნავები და მათი მსგავსნი უნდა აილაგმონ!

დ. გედეონიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲪᲮᲕᲘᲠᲡᲐᲮᲝᲪᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲘᲚᲘ „ᲕᲝᲚᲒᲔᲑᲘ“

ᲐᲜᲣ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ ᲐᲡᲔ ᲔᲞᲘᲡᲢᲚᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲜᲘᲐᲜᲘ

ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲞᲘᲜᲯᲔᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პატარა, „მოძრავ გალიაში“, კუპეს რომ ვეძახით, ადგილად უშნაურდებიან ადამიანები ერთმანეთს...

იშვიათად მატარებელში სასაუბრო არ გამოინახოს. დღეს რაღაც უცნაური მგზავრები შევხვდით. საცაა წიფის გვირაბს მივაღწევთ და სიტყვა არ გვითქვამს. ეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთმანეთის გარდა არავის ხედავენენ, ფანჯარასთან მიჯდარი შუახანს გადაცილებული, ჭარმაგი კაცი გარეშოს გასცქეროდა.

მოიში ა ჰკერდა როგორც ეირაფი, მატარებელი მიაჭრის ბინდებაღ, ახლა იწყება წიფის გვირაბი თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ? გალაკტიონს უკითხავს ის ბიჭი თავის ცოლს და რატომღაც ნერვები მეშლება!..

მგონი მართლა იწყება წიფის გვირაბი. — ვამბობ მე. მაგრამ, გაგიგონია, ვინ მაქცევს ყურადღებას!

ჩემი წყნარი თანამგზავრი გაუნძრევლად ზის. შევაჩნინე, რომ პიჯაკი, რომელიც ზურგს უკან ეკიდა, თავისით თუ მატარებლის ჯაყ-ჯაყით შეირხა და უცებ ზედ ოქროს ვარსკვლავმა გამოანათა! ერიგა!.. ეს კაცი გმირია!

ახალგაზრდები კუპეში შემოვიდნენ. ბოდიშს ვიხდით! — ისე, უმისამართოდ თქვა ბიჭმა — აქ რომ სადღაც ობელისკია, ამ გვირაბის ამშენებელს თავი რომ მოუქლავს, — ხომ არ იცით, რომელ მხარეს არის! — პასუხს არ დაელოდა ისე უამბო ცოლს დანარჩენი ამბავი. თურმე, როცა გვირაბს თხრიდა, ამ საცოდავ ინჟინერს მოჩვენებია, რომ აქეთ-იქიდან მომავალი გვირაბი ასცდა ერთმანეთს და ტყვია (რატომღაც ბრაუნინგი დაასახელა) შიგ შუბლში უსროლია, და თან დაუმატა: „ყოჩაღ“-ძმაო!

ფანჯარასთან მჯდომმა ოდნავ გაიღიმა და თავი მოაბრუნა, მაგრამ... ვაცალე?.. ჩემი ახირებული შვილის წყალობით, სწორედ ორი დღის წინათ რკინიგზის მუზეუმში გასლეგით, პლეხანოვის პროსპექტზე, ახლა გრიბოედოვის თეატრი რომ არის, რკინიგზელთა სასლში მუზეუმია საოცრად საინტერესო! და მთელი ჩემი ერუდიცია დავცალე, სული არ მოვიოქვი, სიტყვა არ ჩავადგმევინე იმ კაცს.

— უნდა გითხრა, რომ... (რატომღაც ასეთი ექსპოზიცია ავიარჩიე) ეს ლეგენდაა და სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს. ინჟინერ ფერდინანდ რიძეკაკის თავი არ მოუკლავს, მან ამ გვირაბის შემდეგაც ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა და თუ არ ვცდები (თუმც ვიცოდი, რომ არ ვცდებიდი!), ამ გზის უფროსიც იყო ერთხანს... თუ უფრო დაფვრილებით გაინტერესებთ ეს ამბავი, მე შემიძლია მეტიც გიამბოთ!...

ჩემმა თანამგზავრმა კეთილი ღიმილით შემხედა, მე სულ გავთამამდი, ძველი ოფიცერივით მედიდურად ფეხი ფეხზე შემოვიდე და ორი დღის წინ მიღებული განათლება ისე ჩამოვაკრიალოსანე, თითქოს ამ გვირაბის ისტორიის კვლევაძიებაში მქონოდა გალეული ჩემი დღე და წუთისოფელი.

— ფართო საზოგადოებისათვის (პათეტიკური ტონი აღარ დავკარგე!) დღემდე ცნობილი არ არის, რომ სურამის უღელტეხილზე ადრე მატარებელი ზვეიდან დადიოდა! მას შემდეგ რაც მწყობრში ჩადგა თბილის-ბაქის და სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზები, სურამის უღელტეხილზე მგზავრობა თანდათან უფრო ძნელი გახდა. ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობა ძალზე დაინტერესებულა ამ ტვირთბრუნვის შეზღუდვამ და საქართველოს არაოფიციალურ „ეკონომიკის მინისტრს“ ნიკო ნიკოლაძეს დაავალა სურამის უღელტეხილის რკინიგზის ხაზის რეკონსტრუქცია.

ინჟინერ მიშინკოვს კიდეც შეუდგენია რეკონსტრუქციის პროექტი, ნიკო ნიკოლაძეს მხარი დუჭერია ამ პროექტისათვის და უთქვამს, თავისუფლად შეიძლება მიშინკოვის პროექტით გზის რეკონსტრუქციაო და თან ტექნიკურ-საინსპექტორო კომიტეტისათვის ბარათი უახლებია, რომელშიც ახალ ვარიანტს, კერძოდ გვირაბის გაყვანას სთავაზობდა კომიტეტს. 14 წელი დადირდა მატარებელი ამ გვირაბის მაღლა, მთაზე. საქართველოში პირველი რკინიგზის ხაზის გახსნიდან 14 წლის შემდეგ, 1886 წლის 31 დეკემბერს დაიწყო სურამის გვირაბის გაყვანა...

შეავმჩნიე, რომ წყნარი თანამგზავრი, ინტერესით მისმენდა, ამან გამახალისა,

წუთისოფლის მასპინძელი

(დასასრული)

და რაც შეეძლოთ, ბომბავდნენ. ეს ჩვენთვისაც ზარალი იყო და მოკავშირეებისთვისაც, ხანდახან მთელი ქარავნიდან ერთი გემი ვერ აღწევდა ნაპირს... ამის შემდეგ გადაწყდა ირანიდან მატარებლით გადმოსროლათ საქონელი, ეს უფრო საიმედო იყო.

მის პირად არქივში ახლაც ინახება მთავარსარდლის ხელმოწერილი მანდატის ასლი, რომელშიც წერია, რომ იგი გრიგოლ სიმონის-ძე კიკნაძე — ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრია.

... ამ დროს მტერი ქერჩთან იყო შეკვეთ. ჩვენც ფრონტზე ვიყავით, საჭირო იყო გზების აღდგენა! წამოვაყენეთ ასეთი წინადადება: ნოვოროსიისკიდან დოკებზე დაგვეტვირთა 20 ორთქმავალი და 45 ვაგონი-სახელოსნო და ღამით გაგვეშვა ქერჩისაკენ მე-ნ ანგარიშით, რომ ოცდაოთხი საათის შემდეგ ქერჩში უნდა ჩასულიყო... ამ გაბედულ აზრს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მეტადრე შტაბელები, მახსოვს ერთმა თქვა, ეს თვითმკვლელობას, იმ ტოტის მოჭრას უდრის, რომელზეც ვზიავართო!...

ჩვენ, მაინც ჩვენი გავიტანეთ... ღამით დოკები დაიძრა, 20 ორთქმავალი და 45 ვაგონი!..

ჩვენ თვითონ ქერჩში გადავფრინდით და ყოველი საათი სუკუნედ გვეჩვენებოდა! დოკებს სამი ესკადრილია და სანაპირო დაცვა აცილებდა, მაგრამ მოგეხსენებათ შიშს დიდი თვალები აქვს, მოლოდინში დავიღალეთ ხალხი!.. ჩვენი ანგარიშით სადაცაა უნდა გამოჩნდეს ჩვენი ქარავანი, ვზიავართ და საათს დავცქერით... ამ დროს დაბარებულებივით არ გამოჩნდნენ გერმანელების ოვით-მფრინავები?!. დაგვშინეს, მაგრამ რა დაგვშინეს... ჩვენი დოკები ჯერ არ ჩანს, მაგრამ სწორედ ახლა რომ გამოჩნდნენ?! რამდენიმე ბიჭი საჩქაროდ კატარღაში ჩავსვით და შუა ზღვაში შევაცურეთ ამ ცეცხლის წვიმის დროს!.. დოკების შესახვედრად გავუშვით, რომ შეეწერებინათ, ხანამ დაბომბავ დამთავრდებოდა!...

ამ ყოფაში რომ ვართ, შეგვატყობინეს, ქერჩში საქართველოდან საჩუქრები ჩამოტანეს ქართული ნაწილებისათვისო... საჩუქრის რამდენიმე კაციც ახლდა თბილისიდან ა. საჯაია, კ. შეროზია, ნ. კეცხოველი, ი. აბაშიძე, დ. ხანთაძე და სხვ. მომზახეს და შემომჩივლეს, ვაგონები კი გადმოვცალეთ, მაგრამ კომენდანტმა გვითხრა, თუ რამდენიმე საათში აქედან არ წაიღებთ ამ თქვენ სათამაშოებს, დაცვას მე ვერ გავაცდენ და რაც გინდათ ის ქენითო, სადაც გინდათ იქ წაიღეთ ეგ თქვენი ჩურჩხელები, აქ ომია და არა ახალი წლის შეხვედრაო!

სწორედ ამ დროს დაგვშინა მტერმა ბომბები. ჩამოსცალეს და წავიდნენ, მართალი გითხრათ, ჩვენ თავზე ჩამოსცალეს ბომბები, მაგრამ მაინც მიხაროდა, ჩვენი 20 ორთქლმავალი და 45 ვაგონი რომ სამშვიდობოს მეგულებოდა... საჩუქრები აღრესატებს მშვიდობიანად გავუგზავნეთ!... როგორც იქნა, დოკები გამოჩნდა, მაშინვე დავაბინავეთ ყველაფერი, რკინიგზის „გაცოცხლებას“ შევუდექი... რკინიგზელისათვის არც მშვიდობიანობის დროს არის დიდი მშვიდი ცხოვრება და ტკბილი ძილი... ქერჩიდან არ ვიყავი დაბრუნებული, რომ ისევ ბაქოში მომიწია წასვლამ.

... მტერმა აიღო როსტოვი, შეუტია სტალინგრადს, გადაიკეტა გზები, ბაქოში ცეცხლი გვეკიდა.

ყველაზერი, რაც შუა აზიასა და ციმბირისაკენ უნდა გასულიყო ჩვენს რკინიგზაზე გადმოვიდა, გაიცხო, გაიმეცა ლიანდაგები, ბაქოდან ბათუმამდე ნემსის ჩასატეკ ადგილს ვერ იპოვიდი, ეკაკუირებული ქარხნებით დაწყებული, რა გინდა, რომ აქ არ იყო!... რაც მთავარია, სტალინგრადის ფრონტს საწვავი სჭირდებოდა, აქ ამ ეკაკუირებულ მატარებლებს რა ვუყოთ, არ ვიცით, იქით, საწვავია გასაგზავნი ფრონტზე! ქერჩის გამოცდილება გამოგვადგა. დოკებზე შევაყენეთ ეშელონები და ზღვით გადავიტანეთ მატარებელი კრასნოვოდსკში... მაგრამ საქმე ის არის, რომ ზღვის გაღმა ცისტერნები არ იყო, რომლებშიც საწვავი უნდა ჩაეცალათ... მაგრამ გაჭირვება მიჩვეული... დავჯექით, ბევრი ვითათბირეთ; ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი მოადგილეები ნოვოსარდოვი, ბაბაევი, ერზიკანი, სავინოვი, მეგრელიშვილი და სხვები. ცისტერნები პირდაპირ ზღვაში ჩავყარეთ და ბუქსირით გავუყენეთ გზას. კასპიის გალმა იცლებოდა საწვავი, იესებოდა ცისტერნები და ფრონტზე იგზავნებოდა.

ეს ამბავი მიქოიანს გაუგია, დარეკა, შეგვაქო და გვითხრა, იქნებ სცადოთ და რეზერვუარებიც ასევე გადაიტანოთო. მართლაც ასე გადავიტანეთ ვეება რეზერვუარები საწვავი მასალის მარაგის შესაქმნელად!

სტალინგრადში, რომ მტერი დამარცხდა, მერე ჩვენც გაგვეხსნა ხელფეხი, ეს უამრავი ეკაკუირებული საწარმოები და ხალხი დანიშნულებისამებრ გავუყენეთ გზას, და სახელმწიფო დაცვის კომიტეტის გარდამავალი დროშაც დავიმსახურეთ, რომელიც შემდგომ სამუდამოდ ჩვენთან დარჩა!

ამის შემდეგ, როგორც ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრს, დამევალა ირანის სარკინიგზო თავკაცებთან მოლაპარაკება ჯულფა-თავრიზის რკინიგზის დაბრუნების და ლენდ-ლიზით წამოსული საქონლის დაცვის შესახებ. ირანის მთავრობამ უარი თქვა ტვირთის დაცლაზე, ეს კი ჩვენ ხელს არ გვაძლევდა. რადგან ჩვენი ხალხი მხოლოდ რკინიგზის მოხელეებად იყვნენ, ტვირთის დაცლა კი ადგილობრივ ხელისუფალთ უნდა ეკისრათ, რკინიგზის მინისტრი სპარსეთის ყურეში იყო რაღაც საქმეზე, ამიტომ ჩვენ რამდენიმე დღე „უსაქმოდ“ დავრჩით და ისპაჰანს მივაშურეთ, აქ მოქანავე მინარეთზე აგვიყვანეს და თან „აგვიხსნეს“ ეს მინარეთი იმიტომ არ ინგრევა, ზედ მოლას საფოფაზე დგას და ის იჭერსო!... აქ ქართველებიც ცხოვრობენო, გვითხრეს, მოვიკითხეთ, ერთი იოსელიანი ყოფილა და მეორე დაგითაშვილი. ეს იოსელიანი სადღაც აღმოჩნდა წასული, დავითაშვილი კი გვესტუმრა. წარმოსადეგი, კარგად ჩაცმულ-დახურული კაცი, ჩემი ჩინმეფლები რომ დაინახა, თან უფროსად შემიგულა, მითხრა, აქაურები დიდ გადასახადებს მაწერენ, გურჯი ვარ და არა მზოგავენ, მომეხმარეთო, მერე სოფლადაც დაგვამატოჟა, მაგრამ სტუმრობისთვის ვის ეცალა... მეორე დღეს მოლაპარაკება დავიწყეთ, მოგეხსენებათ, აღმოსავლეთის ხალხმა დაშაქრული ლაპარაკი იცის, ამ ირანის მინისტრმა ვრცელი სიტყვით მოგვმართა, ბევრი ლამაზი სიტყვა გვითხრა, მაგრამ ბოლოს ისიც დასძინა, რკინიგზა ჩვენია, საქონელი თქვენი, ჩვენ ამ ტვირთის დაცვას ვერ უზრუნველვყოფთო! საპასუხო სიტყვის წარმოთქმამ მომიწია, ვერაფერი მაღალფარდოვნად მოლაპარაკე გახლავართ, მით უმეტეს, რა დროს მაღალფარდოვნება იყო, ეს კაცი უარს ამბობდა მთავარზე, რის გულისათვისაც ვართ აქ ჩამოსული!...

მე მასპინძლებს ასე მივმართე: ჩემთვის დაუჯერებელია ასეთმა დიდმა სუვერენულმა სახელმწიფომ, როგორც ირანია, უბრალო ტვირთის დაცვა ვერ შეძლოს-მეთქი!.... არც ჩემმა ხოტბამ გასჭრა მაინდამაინც, საქმე პრემიერ-მინისტრამდე მივიდა, ამბობდნენ დედა ქართველი ჰყავდა, თავადვე ამბობდა, კავკასიაში ნამყოფი ვართო — თბილისში, ბათუმში, ბაკოში, ვიცნობდიო ორჯონიკიძეს, შაუმიანს... ბოლოს საქმე კარგად დამთავრდა. ხელშეკრულებას ხელი თავრიზში მოვაწერეთ და საქართველოში გამოვეშურე.

აქ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემმა მოსაუბრემ სოციალისტური შრომის გმირის წოდება 1943 წელს მიიღო, მისი გმირობის მოწმობის ნომერია ასი... მთელ საბჭოთა კავშირში გრიგოლ კიკნაძე მეასე გმირია, ის იყო საქართველოში ერთ-ერთი პირველი სოციალისტური შრომის გმირი.

მე გაკვირვებული ვიყავი, რომ ასეთ ადამიანს ასეთ ადგილზე ვხედავ, ეს ადამიანი ალბათ ბევრ ადგილზე ყოფილა, ბევრ ომში ყოფილა, ბევრ ადამიანთან ურთიერთობა ექონია, ბევრ ადამიანს ენახოს, ბევრ ადამიანს ესაუბროს, ბევრ ადამიანს ესმინოს, ბევრ ადამიანს ასწავლოს, ბევრ ადამიანს ასაჯოს, ბევრ ადამიანს ასამართლოს, ბევრ ადამიანს ასაჩუქროს, ბევრ ადამიანს ასაბრალოს, ბევრ ადამიანს ასაბუტღოს, ბევრ ადამიანს ასალოცინოს, ბევრ ადამიანს ასალანძღოს, ბევრ ადამიანს ასალოგინოს, ბევრ ადამიანს ასაბანოს, ბევრ ადამიანს ასაჭამოს, ბევრ ადამიანს ასასმელი მიაბაროს, ბევრ ადამიანს ასაბანელი ასაცვამინოს, ბევრ ადამიანს ასაბანელ ასაცვამინებელ ასაბანელ ასაცვამინებელ ... ეს ადამიანი ალბათ ბევრ ადამიანს